ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N02

2022 წლის 30 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს გელა გოგიტიძეს შეუწყდეს ვადამდე ადრე უფლებამოსილება 2022 წლის 19 მარტიდან (პირადი განცხადება N38-1152207718 2022 წლის 18/03);

2. ეთხოვოს ქობულეთის N81 საოლქო საარჩევნო კომისიას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგინოს საკრებულოს წევრი გელა გოგიტიძის ადგილმონაცვლის კანდიდატურა;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე, დაევალოს საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს ნატო შამილიშვილს;

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. წულუკიძე);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**